შპს "თზ სტუდია"
ს/ნ 405658943

მისამართზე:ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (სააკოდი: 01.72.14.008.991) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, (A ბლოკი) პორექტირებული არქიტექტურული პროექტის

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დადგენილებასთან შესაბამისობაზე

საექსპერტო დასკვნა

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

2 ივლისი 2026 წ.

თბილისი 2026 წ.

შენიშვნები.

1.საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" და "2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტთან "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2.საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

4.სახანძრო უსაფრთხოების სისტემები და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სქემები, შემუშავებული და მოწყობილი უნდა იყოს NFPA სტანდარტებისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" გათვალისწინებით.სისტემების მონტაჟი უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ და დასრულების შემდგომ ჩაუტარდეს შემოწმება-ტესტირება.

5.მშენებლობის პროცესში გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ასევე მათი სპეციფიკაციები და მოწყობის ტექნოლოგიები უნდა აკმაყოფილებდეს "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მოთხოვნებს.

6.აღნიშნული საექსპერტო დასკვნის მიზანია, დადგინდეს წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან და მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან. წარმოდგენილ ექსპერტიზაში განხილულია მხოლოდ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენთთან.

7.მშენებლობის დაწყებამდე, პროექტი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

პროექტის აღწერა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაგეგმილია მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, 01.72.14.008.991 საკადასტრო ერთეულებს. საპროექტო ნაკვეთის საერთო ფართი 9646.0 კვ.მ-ს შეადგენს.

წარმოდგენილი კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო შენობა (A ბლოკი) შედგება 7 სართულისგან, რომელთაგან ერთი მიწისქვეშაა.აღნიშნულ მიწისქვეშა სართულზე განთავსებულია ავტოსადგომი (-9.60 ნიშნული), სწ-2 დაკავებულობა.მიწისზედა სართულებზე განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულები, რომლებიც დაყოფილია 2 სადარბაზოდ. შენობის მიწისზედა სართულებზე განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულები -6.60 ნიშნულიდან +9.90 ნიშნულამდე.

წარმოდგენილი გენ.გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წყლის რეზერვუარი და სატუმბი სადგური, რომელიც მდებარეობს შენობისგან განცალკევებით და მიწისქვეშ. პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო სამაშველო სამსახურების მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები. ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია სათადარიგო ელ.მომარაგების უზრუნველსაყოფად საჭირო გენერატორი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამანქანო და საფეხმავლო გზების მოწყობა, ასევე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა.ავტოსადგომებზე გათვალისწინებულია შშმ პირთათვის განკუთვნილი სადგომები, ხოლო შენობა სრულად მისაწვდომია.

კორექტირება მოიცავს მხოლოდ ფასადის დათბუნების მასალის ცვლილებას, კერძოდ მინერალური ბამბა ჩანაცვლდა გაფართოებული პოლიეს ტირონის, რომლის მწარმოებლის სერტიფიკაცია დამატებულია საექსპერტო დასკვნაში დანართის სახით.
შენიშვნა, ექსპერტიზა მომზადერბულია შეთანხმებული პროექტის ბრძანება № 7732988-ის შესაბამისად.

საექსპერტო დასკვნის შემადგენლობა.

1.დაჯავებულობის დატვირთვების შეფასება.
2.კონსტრუქციის ტიპების შეფასება.
3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.
4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.
5.გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.
6.მისაწვდომობის შეფასება.
7.გარე ქედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
8.სახურავის ანაწყობების შეფასება.
9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავეების შეფასება
10.ხანძრისგან დაცხის სისტემების შეფასება.
11.წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.
12.დასკვნა

1.დაჯავებულობის დატვირთვების შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებული თითოეული ტიპის დაჯავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.დაჯავებულობები არის კლასიფიცირებული წესების მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია შემდეგი ჯგუფები:

1.სასაწყობო ჯგუფი (სწ-2) წარმოდგენილი პროექტით სწ-2 დაჯავებულობის გამოყენება გათვალისწინებული შენობის -9.60 ნიშნულებზე , ჯერძოდ პარკინგებისთვის.წესების მიხედვით აღნიშნული დაჯავებულობა განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომებისთვის, ასევე ელექტროძრავების და სხვა ტიპის მცირე საფრთხის შემცვლელი ნივნეთის

შესანახად.დაჯავებულობის დატვირთვის ფაქტორი შერჩეულია 18.6.

2.საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) წარმოდგენილი პროექტით აღნიშნული დაჯავებულობა გათვალისწინებულია შენობის -6.60-დან +9.90 ნიშნულამდე, აღნიშნულ დაჯავებულობაში გაერთიანებულია შენობაში გათვალისწინებული საცხოვრებელი ერთეულები.წესების შესაბამისად აღნიშნული დაჯავებულობა გამოიყენება მრავალბინიანი სახლების, საოჯახო

სასტუმროებისა და მოტელებისთვის.დაჯავებულობის დატვირთვის ფაქტორი შერჩეულია 18.6.

დაჯავებულობისა და დაჯავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოყენებული დაჯავებულობები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე სწორად არის შერჩეული დაჯავებულობის დატვირთვის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრულია წესების 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

2.კონსტრუქციის ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების ცხრილი 503, საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის მიხედვით (ცხრილი 721.1), შენობაში არსებული დაჯავებულობებისა და შენობის სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია I-B კონსტრუქციის ტიპი. ცხრილი 503-ის შესაბამისად აღნიშნული ტიპის კონსტრუქციისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე შეზღუდულია 48.80 მეტრით , ხოლო პროექტით შენობის სიმაღლე შეადგენს 19.79 მეტრს, ამასთანავე შენობის ყველაზე მაღალი დაჯავებული იატაკი მდებარეობს 16.49 მეტრის სიმაღლეზე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი გზიდან.

შენობის ელემენტები, მათ შორის მზიდი ჯონსტრუქცია, იატაკისა და სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის შესაბამისად.721 ქვეთავის მიხედვით გამოსაყენებელი მასალის ცეცხლმედეგობის ხარისხი, სპეციფიკაციებიდან გამომდინარე, ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა შეადგენს მინიმუმ 2 საათს, ხოლო იატაკისა და სახურავის ჯონსტრუქციისთვის მინიმუმ 1 საათს, რაც შეესაბამება 601 და 602 ცხრილებში I-B ჯონსტუქციის ტიპისთვის მოთხოვნის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

ჯონსტრუქციის ტიპის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოსაყენებელი მასალების, ასევე დაკავებულობებისა და სიმაღლის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული ჯონსტრუქციული ტიპი, და აღნიშნული აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობებისა და ჯონსტრუქციული ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი არ ცდება 503-ე ცხრილში განსაზღვრულ ზღვრებს.აღსანიშნავია, რომ შერჩეული ჯონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე (I-B) შენობის სართულიანობა, სიმაღლე და გათვალისწინებული დაკავებულობების ფართები შეუზღუდავია.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობა შედგება 7 სართულისგან, რომელთაგან ერთი მდებარეობს მიწის დონის ქვემოთ.როგოც აღინიშნა წინა თავში, შენობის სიმაღლე შეადგენს 19.79 მეტრს, ამასთანავე შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს 16.49 მეტრის სიმაღლეზე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი გზიდან. შენობაში გათვალისწინებული დაკავებული იატაკების საერთო ფართი კი შეადგენს 9885.9 კვ.მ-ს.ხოლო შენობის საერთო ფართობი შეადგენს 10812.8 კვ.მ-ს.

შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობების ფართების და სართულიანობა განაწილებულია შემდეგი სახით.

სასაწყობე ჯგუფი (სწ-2) სართულიანობა 1 / საერთო ფართი 1497.6 მ^2
საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) სართულიანობა 6 / საერთო ფართი 8388.3 მ^2

შენიშვნა:როგორც აღინიშნა ჯონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე (I-B) შენობის სართულიანობა, სიმაღლე და გათვალისწინებული დაკავებულობების ფართები შეუზღუდავია.

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობების ფართობი განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს მე-5 თავის 503 ცხრილის მოთხოვნებს.როგოც აღინიშნა შენობის ჯონსტრუქციულ ტიპად არჩეულია I-B, რომლისთვისაც ცხრილი 503-ის შესაბამისად არ არის შეზღუდული შენობის სიმაღლე, სართულიანოდა ან ფართობი.

4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელების და შენობის გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელ სისტემაში შემავალი სამივე ელენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და გასასვლელის კომპონენტების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

შენობაში გათვალისწინებულ თითოეულს სართულს და დაჯავებულ სივრცეს ემსახურებს საჭირო რაიოდენობის გასასვლელი საშუალებები.ჯერძოდ:

როგორც აღინიშნა შესავალში, შენობაში გათვალისწინებული საცხოვრებელი ერთეულები დაყოფილია 2 სადარბაზოდ. წესების 1021.2 ქვეთავის 1021.2(1) და 1021.2(2) მიწის ზედა სართულებზე, სადაც გათვალისწინებული საცხოვრებელი ერთეულები, გათვალისწინებულია ორი გასასვლელი გზა-ჯიბე.

შენობის -9.60 ნიშნულზე სადაც მდებარეობს ავტოსადგომი (სწ-2 დაჯავებულობა)ემსახურება ორი გასასვლელი საშუალება გზა-ჯიბე.

წესების მოთხოვნების შესაბამისად, შენობაში გათვალისწინებული შიდა გასასვლელი გზა ჯიბეები შენობის გარე სივრცეს უკავშირდება დაცული გზა-დერეფნის საშუალებით, რომელიც თავისმხვრის ასევე აკმაყოფილებეს წესების მოთხოვნებს.დერეფნის სხვა სივრცეებისგან გამმიჯნავ კონსტრუქციებს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

შენობაში გათვალისწინებული გასასვლელამდე სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს წესების 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.ასევე დამაკმაყოფილებელია გასასვლელტან მისადგომი სავალი მანძილი, რომელიც წარმოდგენილი პროექტით შეესაბამება 1016.2-ე ცხრილის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომებისა და გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული კომპონენტები შესრილებულია წესების მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

5.გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების განტარუნარიანობების შეფასება .

შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-ჯიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.გზა-ჯიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაჯავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-ჯიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ.) მინიმუმ 1.1 მეტრი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით გზა-ჯიბეების თავისუფალი სიგანე მოაჯირეებს შორის შეადნეგს 1.40 მეტრს.შიგა გასასვლელი გზა-ჯიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების 1009.7,1009.8 და 1009.15 ქვეთავების მოთხოვნებს, ჯიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაჯავშირებით.გზა-ჯიბეებში შემავალი და გამოსასვლელი გზა-ჯარები მოწყონილია 1008 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.ჯერძოდ 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ ჯედელში ჩასმულ ღიობებთან დაჯავშვირებით, რადგან 1009.3.1.2 ქვეთავის მიხედვით გზა-ჯიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-ჯარის ცეცხლმედეგობის ხარისხია 90 წუთი.გზა-ჯიბეები ასევე აკმაყოფილებს 1023 ქვეთავ, ჯერძოდ გზა-ჯიბე გადის შენობის გარეთ ან გრძელდება შენობის გარე მხარემდე გასასვლელი გზა-დერეფნის საშუალებით.შენობაში გათვალისწინებულ გზა ჯიბეებიში გათვალისწინებულია ბუნებრივი განიავება.გასასვლელ სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.დერეფნის

მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაჯავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვეებლით.დერეფნის გამტარუნარიანიბის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავში.

განსაზღვრული ფაქტორი (3.8) გასასვლელ სისტემაში შემავალი ყველა დერეფანი უწყვეტია და გასასვლელი საშუაკების აუცილებელი ტევადობა არ მცირდება სავალი გზის გასწვრის.გათვალისწინებული დერეფნები ასევე აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნებს.პროექტით გათვალისწინებული დერეფნების მინიმალური სიგანე შეადგენს 1.7 მეტრს.1018 ცხრილის შესაბამისად საცხოვრებელი სართულების დერეფნების ტიხრებს გააჩნიათ 1 საათიანი ცეცხლმედეგობა.

გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-ჯარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.აღსანიშნავია ისიც რომ, ცეცხლმედეგ ჯედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-ჯარი უნდა აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს ცეცხლმედეგობასთან დაჯავშირებით.

გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული გასასვლელი საშუალებების სიგანე და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

6.მისაწვდომობის შეფასება.

თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია. § მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა. § თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება. საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას. საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები, აკმაყოფილებს სტანდარტების მე-11 თავის შესაბამის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზები გათალისწინებულია 1102.3 ქვეთავის მიხედვით. ყველა სივრცე და ელემენტი რომელიც ამ სივრცის ნაწილია უწყვეტადაა დაკავშირებული მისაწვდომ სვლაგეზთან, ისევე როგორც მისაწვდომი ბინის ყველა ოთახში ინდივიდუალურად ასევე დერეფნებში მოწყობილია მოსატრიალებელი სივრცეები. მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების მოწყობა განსაზღვრულია წესების 1103 და 1104 ქვეთავების მოთხოვნების დაცვით მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლოფტები მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება. შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას. შშმ პირთათვის განკუთვნილ ყველა ლიფტთან, შენობიდან გამოსასვლელი დონის გარდა ყველა სართულზე, მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა. გეგმებზე ნაჩვენებია მისაწვდომი სვლაგეზები.მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომები და ფიქსირებლი წყალსადენის ელემენტები და ტუალეტები,შესაბამისად წარმოდგენილი შენობა-ნაგებობა აკმაყოფილებს მე-11 თავის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი,მათ შორის გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.პროექტთან თანდართული ცხრილების მიხედვით, მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მიწის ნაკვეთის უახლოეს წერტილამდე (ქუჩის, ჩიხის საზოგადოებრივი გზის შუახაზამდე) შეადგენს მინიმუმ 9 მეტრს შესაბამისად აღნიშნულ მონაკვეთებში გათვალისწინებულია ცეცხლედეგობის გათვალისწინება სავალდებულო არ არის.წესების მოთხოვნების გათვალისწინებით იმ მონაკვეთებში სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი ნაკლებია 9 მეტრზე და მოთხოვნილია ცეცხლმედეგობის ხარისხი გარე არამზიდი ტიხრებისთვის, წარმოდგენილ პროექტში აღნიშნული გათვალისწინებულია.

"შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების 1404-ე ქვეთავის 1404.7 ქვეპუნქტის შესაბამისად, გარე საიზოლაციო სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს 1408-ე ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოყენებული გარე საიზოლაციო მასალა — EPS-ის (გაფართოებული პოლისტიროლი) მყარი

ფილა — პირდაპირ არ არის ჩამოთვლილი 1404-ე ქვეთავით განსაზღვრულ მასალათა ნუსხაში. ამასთანავე, 1404.1 ქვეპუნქტის თანახმად დასაშვებია ისეთი ალტერნატიული მასალების გამოყენება, რომლებიც აღნიშნულ ქვეთავში პირდაპირ არ არის მითითებული.
პროექტით გათვალისწინებული EPS (გაფართოებული პოლისტიროლი) მყარი ფილა (სიმკვრივე – 35 კგ/მ³) წარმოადგენს ევროპულ ქვეყნებში ფართოდ გამოყენებულ გარე თბოსაიზოლაციო მასალას ფასადის სისტემებისთვის. აღნიშნულ თბოსაიზოლაციო ფენაზე მონტაჟდება კლინკერის საფასადე ფილა. აღნიშნული ფასადის სისტემის ტექნიკური შესაბამისობა დადასტურებულია ევროპული ტექნიკური შეფასების დოკუმენტით ETA 20/1263 (04.04.2021), რომელიც ადასტურებს პროდუქტის შესაბამისობას ევროკავშირის მოქმედ მოთხოვნებსა და შესაბამის სტანდარტებთან. აღნიშნული ტექნიკური შეფასების დოკუმენტი *გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლები და ღიობები აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის და 602 ცხრილის მოთხოვნებს.*

8.სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობა-ნაგებობის სახურავის სტრუქტურა და არაძირითადი ნაწილების შეფასება განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით, ჯონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით (I-B).აღნიშნული ჯონსტრუქციის ტიპისთვის, სახურავის ცეცხლმედეგონის ხარისხი განსაზღვრულია მინიმუმ 2 საათი, რაც წარმოდგენილი პროექტით არის გათვალისწინებული და გამოსაყენებლი მასალების მიხედვით, სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს.

სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, ჯონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს (ცხრილი 1501.1ა).სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 და 1507.4.3(2) ცხრილების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 653 G-90 და ASTM D 3909 სტანდარტების მოთხოვნებს.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავის ანაწყობები სახურავის ბურული და არაძირითადი ნაწილები შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად. წარმოდგენილი პროექტით, ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია საცხოვრებელ ერთეულებსა და დერეფნებს შორის.ცეცხლმედების ხარისხი შეადგენს 1 საათს.სასაწყობე ჯგუფი და საცხოვრებელი ჯგუფი ერთმანეთისგან გამოჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე თარაზული ანაწყობებით. შენობაში არსებული ყველა კიბის უჯრედი შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით.შახტებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხიც ასევე შეადგენს მინიმუმ 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1; 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნებს. შენობაში არსებული საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან 420.2 ქვეთავის შესაბამისად გამიჯნულია ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი,

რაც აკმაყოფილებს 708.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციისა და წესებისმოთხოვნების მიხედვით, მოწყობილი ცეცხლმედეგი გამიჯნავები, მასალის ცეცხლმედეგობა, განთავსების სტრუქტურული მთლიანობა და უწყვეტობა უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-7 თავის მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით და სრულ შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

10.ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში, შენობის დაკავებულობების, სიმაღლისა და ფართობების გათვალისწინებით, წესების მოთხოვნის მიხედვით გათვალისწინებულია ხანძრისგან დაცვის შემდეგი სისტემები:

წესების 403.3, 903.2.8, 903.2.10 და 1707.3 ქვეთავების სესაბამისად, საპროექტო შენობაში მდებარე სწ-2 დაგავებულობაში (ავტოსადგომი) გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 903.3.1 ქვეთაცის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაგეგმარდეს და დაყენდეს NFPA 13 სტანდარტის შესაბამისად, თუმცა წესების 102.3 ქვეთავის მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.

პროექტით შენობაში გათვალისწინებულია II ჯგუფის სახანძრო მილდგარების სისტემა 9.905 თავის შესაბამისად პროექტით გათვალისწინებული მოლდგარებამდე მანძილი არ აღემატება 30 მეტრს, ხოლო თავაჯის ბოლოდან წამოსული წყლის ნაკადი 9 მეტრის რადიუში ფარავს შენობის

ყველა წერტილს.სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია ქიბის უკრედის შუალედურ ბაქნებზე.

ზემოხსენებული სისტემების წყლით მომარაგებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე, შენობიდან დამოუკიდებელ სივრცეში გათვალსიწინებულია სახანძრო ტუმბოები და წყლის ავზი.

საპროექტო შენობაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემები, კერძოდ ლიფტის შახტები უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემბით, რაც აკმაყოფილებს წესებუს 713.14.1 ქვეთავის

მოთხოვნებს.

სწ-2 დაკავებულობაშუი განთავსებულია ხელისცეცხლმაქრები, რაც აკმაყოფილებს წესების 906 ქვეთავის მოთხოვნებს.

907.2. ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად, შენობაში კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა და სახანძრო განგაშის სისტემა დაკავშირებულია და ააქტიურებს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას.
იმის გათვალისწინებით, რომ სწ-2 ჯგუფის ფარტობი აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, სახანძრო განგაშის სისტემა უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის ჯოლოფის ამოქმედებისთანავე.

საპროექტო შენობასთან გათვალისწინებული სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლების განთავსება.სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია გარე კედელზე სახანძრო მანქანის მისადგომიდ მხრიდან და ადვილდა დასანახია და ამოსაცნობი,

რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული ხანძრისგან დაცვის სისტემები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

შენიშვნა:903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს შესაბამისი NFPA სტანდარტებით, თუმცა 102.3 ქვეთავის შესაძლებელია სხვა სტანდარტის გამოყენებაც.ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი უნდა განხორციელდეს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.აუცილებელია სახანძრო განგაშის სისტემების დაყენების შემდგომ მოხდეს მათი შემოწმება-ტესტირება, შესაბამისი NFPA სტანდარტებით და ზედამხედველობით.სახანძრო სამსაშველო სამსახურების მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს ისე, რომ იყოს ადვილად დასანახი და ამოსაცნობი, უნდა აკმაყოფილებდეს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს და წინასწარ უნდა შეთანხმდეს სახანძრო

სამსაშველო სამსახურთან.

ხანძრისგან დაცვის სისტემები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სათადარიგო ელექტრომამარაგებით.

11.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად.პროექტში გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი წესების 1109.2 ქვეთავის მიხედვით.-9.60 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომს წყალსადენი სისტემები არ ემსახურება, ვინაიდან 1602.3 ქვეთავის გამონაკლისის აღნიშნული არ არის დასაშვები.ასევე წყალსადენი სისტემები არ ემსახურება საწყობებს და ტექნიკურ ფართობებს, ვინდაიდან ისინი წარმოადგენენ ძირითადი ფარტების

მახმარე ფართებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების, წესების მოხედვით საჭირო რაოდენობა.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს წესების 1602 ქვეთავის მოთხოვნებს.

12.დასკვნა.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანდართული დოკუმენტაციის, ჩატარებული საექსპერტო ანალიზით, დავადგინე მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიღმის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (საკ.კოდი:01.72.14.008.991) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A-ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-ის მიხედვით "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაში

ყოფნას.

დაჯავებულობების ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვის გამოანგარიშება, და კონსტრუქციის ტიპის განსაზღვრა განხორციელებულია და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელების და შენობისან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე დამაკმაყოფილებელია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

შენობა მისაწვდომია შშპ პირებისთვის და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

გარე კედლები ცეცხლმედეგობის ხარისხი და სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს "წესების" 602 და 705.8 ცხრილების მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხი გამმიჯნავეების მიმართ განსაზღვრულია "წესების" შესაბამად.

ხანძრისგან დაცვის სისტემები და წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და ავტოსადგომების შეფასება ასევე აკმაყოფილებს " წესების" მოთხოვნებს.

საპროექტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმესახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო

დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

როგორც აღინიშნა შესავალში, კორექტირება მოიცავს მხოლოდ ფასადის დათბუნების მასალის ცვლილებას, ჯერჯერობით მინერალური ბამბა ჩანაცვლდა გაფართოებული პოლიესტირონის, რომლის მწარმოებლის სერტიფიკაცია დამატებულია საექსპერტო დასკვნაში დანართის სახით.

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

2 ივლისი 2026 წ.

მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შეფასება . (A ბლოკი)

საექსპერტო შეფასება მოიცავს შემდეგ ნაწილობეს

-მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები
- მისაწვდომი სვლაგეზები
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები
- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები

საპროექტო შენობაში "ა" და "ბ" ტიპის საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის №41-ე დადგენილებით, ხოლო მათი მოთხოვნები შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"
"ა" ტიპის საცხოვრებელი ერთეულების წესების 1103.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ყველა სივრცე მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება.
- ყველა ოთახი, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი საჭირო სივრცით, 1103.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ერთეულის მთავარი შესასვლელი ჯარი და დანარჩენი გზა-ჯარი, რომლებიც დამჯავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.
-ზღურბლები ასევე შეესაბამება წესების 303 თავს.
-ერტეულებში მოწყობილი ტუალეტები აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავს.

"ბ" ტიპის საცხოვრებელ ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
-ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ ბილიკს.
-მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტები განსაზრვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20 ნეტად დახრილი, 1103.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
-მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე აკმაყოფილებს 403.5 ქვეთავს.
-ერთეულში შესასვლელი მთავარი ჯარი აკმოყოფილებს 404 ქვეთავს
-ზღუბლები შეესაბამება 303 ქვეთავს
-ტუალეტებისა და აბაზანის მოწყობილობები თანხვედრაშია 1104.11 ქვეთავის მოთხოვნებთან.

მისაწვდომი სვლაგეზები

სავალი ზედაპირები
-იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნებს.
-იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეტავის მოთხოვნა
-მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში შეადგენს 900 მმ-ს რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას
-სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სინაგე მოსატრუალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ჯარი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია
-მისაწვდომ სვლაგეზზე მოწყობილია ოთახებში და ტუალეტებში შესასვლელი ჯარები, რომელთა თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
-მისაწვდომ სვლაგეზზე გათვალისწინებულ ჯართან უზრუნველყოფილია მანევრირებისთვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად.მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
-მისაწვდომი ტუალეტის ჯარის ზღურბლის სიმაღლე არ აღემატება 13 მმ-ს, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნებს, რაც შეეხება იატაკის დონეებს შორის ცვლილებას, ჯარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
-ჯარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე,

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

მისწყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები
მისაწვდომი ტუალეტი
-მოსაწვდომი ტუალეტის ოთახში უზრუნველყოფილია თ-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
მისაწვდომი ტუალეტის ოთახის ჯარი არ იჭრება მოწყობილობებისთვის განკუთვნის თავისუფალ სივრცეებში, რაც აკმაყოფილებს 603.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.ტუალეტის ჯართან ასევე გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე.
მისაწვდომი ტუალეტის ოთახში განთავსებული უნიტაზი

-უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.-უნიტახთან მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
-უნიტაზის დასაჯდომი სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
-უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის შესაბამისად.-უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავს.
მისაწვდომი ტუალეტის ოთახში განთავსებული ხელსაბანი
-ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
-ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შეესაბამება 606.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

მისწყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები
მისაწვდომი ტუალეტი
-მოსაწვდომი ტუალეტის ოთახში უზრუნველყოფილია თ-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
მისაწვდომი ტუალეტის ოთახის კარი არ იჭრება მოწყობილობებისთვის განკუთვნის თავისუფალ სივრცეებში, რაც აკმაყოფილებს 603.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.ტუალეტის კართან ასევე გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე.
მისაწვდომი ტუალეტის ოთახში განთავსებული უნიტაზი
-უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
-უნიტახთან მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
-უნიტაზის დასაჯდომი სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
-უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის შესაბამისად.-უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავს.
მისაწვდომი ტუალეტის ოთახში განთავსებული ხელსაბანი
-ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
-ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შეესაბამება 606.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები

ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში
-საპროექტო შენობიდან გამოსასვლელებში მოწყობილია განათებული ნიშნები წარწერტით "EXIT"
-მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო და სქესის აღმნიშვნელი პიქტოგრამები მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახის შესასვლელთან, 703.6.3; 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისად.
ზემოალნიშნული ნიშნები გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები
-სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვს.ისინი არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გავრული შრიფტიც,მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
-სიმბოლოების ზომა, სიგანე , შტრიხის სიგანე მ სიმბოლოებსა და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 და 703.2.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
-ვიზუალური სიმბოლოების სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან შეესაბამება 703.2.4 ცხრილის მოთხოვნებს.
-სომბოლოები და მათი ფონის ზედაპირი არ ჯაშჯაშებს.სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ჯერძოდ სიმბოლო მუქი ტონისაა, ხოლო ფონი ღია.
-ამობურცული სიმბოლოების უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

დასკვნა.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანდართული დოკუმენტაციის, ჩატარებული საექსპერტო ანალიზით, დავადგინე მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიღმის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (საკ.კოდი:01.72.14.008.991) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (C-ბლოკი) არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენტთან " მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

2 9 ივნისი 2026 წ.

შესრულებული პროექტები

2017 წ.
- სასტუმროს უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, დასახლება გლდანი,მიკრო/რაიონი 7, კორპუსი №17-ს მოდებარედ.

2018 წ.
- უნივერსიტეტის რეკონსტრუქციის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა სარაჯიშვილი №17.
- სამაცივრე მეურნეობის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა თეოდორე მღვდელი №27
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი №14.
- უნივერსიტეტის რეკონსტრუქციის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, გამზირი დავით გურამიშვილი №76

2019 წ.
- მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სავაჭრო-კომერციული) უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.ბათუმი, ქუჩა ანგისა №7
-სასწყობის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,ლაზოს ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.19/082) (01.11.14.019.465)
- სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა. ქ.თბილისი, სოფელი დიღომი "ჩალაპირები"(01.72.14.032.990)
-კოტეჯების ტიპის სასტუმროს უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.რაიონი ოზურგეთი,სოფ.ნატანები (26.01.51.285)
- დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ოდესის ქუჩა №17
-მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა გამრეკელი № 23გ.
-მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,ქუჩა ჭოველიძე 14/16.

2020 წ.
-რესტორნის (მაკდონალდსი) უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,გზატკეცილი კახეთი, ფეხსაცმლის ქარხანა "ისანი"-ს მიმდებარედ
-სავაჭრო ცენტრის (ისთ პოინტი) უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,გზატკეცილი კახეთი, ქუჩა თვალჭრელიძე №2

შესრულებული პროექტები

2021 წ.
- სავაჭრო ობიექტის (მაღაზია) (III კლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი, გზატკეცილი ჯახეთი, ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ (ს/კ 01.19.15.003.063)
-ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის (III კლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი,დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/კ 01.72.14.007.716)
-ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის (III კლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი,სოფელი ჯიჯეთი, 300 არაგველის II ჩიხი №32ა (ს/კ 81.01.14.049)
